ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №8

2024 წლის 28 მარტი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ მეორე გურიფულში უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ მეორე გურიფულში არსებულ უსახელო ქუჩას, თანდართულ რუკაზე მონიშნული მე-5 ქუჩის შესაბამისად ეწოდოს შემდეგი სახელი: №5 ქუჩა.

2. განკარგულება 10 დღის ვადაში გადაეგზავნოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება გამოქვეყნდეს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი; ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. № 3).

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

დანართი


1:1,500